№ 141 მკათათვე 7, ხუთშაბათი 1889 მკათათვე 7, ხუთშაბათი № 141


გაზეთის ფასი

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


ტფილისი, 6 მკათათვე

წარსულს ნომერში ერთის რუსულ გაზეთიდგან ჩვენ გადმოვბეჭდეთ ამბავი იმის შესახებ, რომ კავკასიის სამოსწავლო მთავრობამ მიჰმართა პეტერბურგის სასტატო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულ ახალგაზდა მასწავლებლებს და აღუთქვა კავკასიის სასოფლო სკოლების მასწავლებელთა ადგილების დათმობა, თუ რომ კავკასიაში გადმოსვლას მოისურვებენო. იმავე გაზეთის სიტყვით, ახალგაზდა მასწავლებლებმა უარჰყვეს ეს წინადადება და უცხო ქვეყანაში წამოსვლასა და სამსახურს არჩიეს სამშობლოში დარჩენა.

ეს ამბავი მეტად საყურადღებო და საგულისხმოა და ამიტომ იმის შესახებ საუბარი მეტი არ იქნება, რადგანაც ასე თუ ისე გვიხატავს ჩვენის სკოლების ვითარებას. რა ისეთი ძლიერი მიზეზი უნდა ჰქონოდა სამოსწავლო მთავრობას, როცა უცხო ქვეყნიდგან და უცხო კაცებს იწვევდა სამსახურში, მაშინ როდესაც კავკასიას რამდენიმე საოსტატო სემინარია აქვს, საიდგანაც ყოველ წლივ გამოდის საკმაო რიცხვი სასოფლო მასწავლებელთა? თავი და თავი მიზეზი ამ გვარის განზრახვისა ის უნდა იყოს, რომ, სამოსწავლო მთავრობის აზრით, კავკასიელი მასწავლებლები რიგიანად ვერ უძღვებიან სასოფლო სკოლებს და სავსებით ვერ ასრულებენ დღევანდელს პროგრამას სასოფლო სკოლისასა. ჩვენ დაბეჯითებით არ ვიცით, ეს გარემოება ჰქონდა აზრად თუ არა სამოსწავლო მთავრობას, ხოლო საფიქრებელი-კია, რომ, თუ არ ეს მიზეზი, სხვა არა ექნებოდა-რა, რადგანაც ვინ არ იცის, რომ კაცი, უცხო ქვეყანასა და გარემოებაში მოქცეული, ისე ვერ გაუძღვება თავისს მოვალეობას, როგორც სასურველია. რუსეთიდგან ჩამოსული მასწავლებლები, კავკასიის გარემოებათა უჩვევნი, ადგილობრივ ენათა არ-მცოდნენი, კავკასიაში ისე ვერ გაუძღვებიან თავიანთს საქმეს, როგორც რუსეთში. ეს ჭეშმარიტება იმდენად მარტივი და ადვილი გასაგებია, რომ თვით ახალგაზდა მასწავლებლებიც-კი ვერ წაიტყუა უცხო ქვეყნის ზღაპრულმა ჰავამ და ბუნებამ მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლო ქვეყანაში უფრო ეხერხებათ მასწავლებლობა. რასაკვირველია, ამავე აზრისა უნდა იყოს სამოსწავლო მთავრობა და თუ მართლა უცხო მასწავლებლები მოიწვია სამსახურში, როგორც უკვე ვსთქვით, ძლიერი რამ მიზეზი უნდა ჰქონოდა.

ჩვენის აზრით-კი, კავკასიელი მასწავლებლები, რაც უნდა დაქვეითებულნი იყვნენ, უცხო მასწავლებლებზე უფრო კარგად გაუძღვებიან საქმეს, თუნდაც იმიტომ, რომ ადგილობრივი ენები საკმაოდ კარგად იციან. საყოველთაო ცოდნა მასწავლებლობის ხელობისა ხომ ერთი და იგივეა რუსეთისა და კავკასიის საოსტატო სემინარიებში. ეს ორი გარემოება საკმაო საბუთია იმისა, რომ ადგილობრივ მასწავლებელთ ხერხიც შესწევთ და ცოდნაც მასწავლებლობისათვის, ხოლო თუ სამოსწავლო მთავრობის გული ვერ მოუგიათ, ამის მიზეზი სულ სხვა რამ უნდა იყოს. ამისი საბუთიცა გვაქვს. რამდენადაც ვიცით, უფროს-ერთი მასწავლებელი თავისს საქმეს ბეჯითად ეკიდება, და თუ ისე ვერ ასრულებს თავისს მოვალეობას, როგორც სამოსწავლო მთავრობასა ჰსურს, ამის მიზეზი მასწავლებლის ხერხსა და ცოდნაზე არ არის დამოკიდებული. ჩვენის აზრით, კავკასიის სასოფლო სკოლის პროგრამა ისეთი რამ არის, რომ იმისი სავსებით შესრულება მოუხერხებელი უნდა იყოს მასწავლებლისათვის, და მოსახერხებელიც რომ იყოს, ისევ ადგილობრივს მასწავლებელს უფრო მოეხერხება. ეს სიძნელე პროგრამის შესრულებისა იქიდგან მომდინარეობს, რომ პროგრამა სავსებით არ შეჰფერის ერისა და ჭეშმარიტის სკოლის ვითარებას და მასწავლებელი პირ-ნათლად მაშინ გაუძღვება ხოლმე სასოფლო სკოლას, როცა პროგრამა სკოლისა ერის ვითარებას შეჰფერის და ეთანხმება. ეს თავი და თავი პირობა სკოლის წარმატებისა შესრულებული რომ იყოს, მაშინ სკოლაც საყვედურს აიცილებს და არც უცხო მასწავლებელთა მოწვევა იქნება საჭირო...

ე. ი.

## ახალი ამბავი

*** გუშინ დილით ბაქოს მატარებელმა დაიგვიანა სწორეთ საათ ნახევარი. მიზეზი დაგვიანებისა იყო ის გარემოება, რომ ბაქოს გზაზე ღამის მატარებელი საქონლისა გადაევარდნილიყო ლიანდაგიდამ და ვაგონებს შეეკრათ გზა. ვიდრე გზას გასწმენდავდნენ და ვაგონებს კვლავ აჰკრეფავდნენ, ხალის მატარებელი გაჩერებული იყო. მოსამსახურეებს უბედურება არა დაჰმართვიათ-რა. მხოლოდ, როგორც ამბობენ, რამდენიმე ვაგონი დაზარალებულა.

*** თიბათვის ოცამდე ისეთი წვიმიანი გაზაფხული და ზაფხული იყო, რომ ქალაქის ქუჩები არა საჭიროებდა რწყვას. საუბედუროდ, ამ უკანასკნელს დროს ძალიან დიდი სიცხეები დაიჭირა, მთელს ქალაქს კორიანტელი ასდის და ეხლა გაცხარებული რწყვა თუ დასტკეპნის ქუჩის მტვერს, თორემ სხვა ვერაფერი. მიუხედავად ამისა, ეხლა ჰრწყავენ მხოლოდ გოლოვინის პროსპექტსა და მიხეილის ქუჩას, ისიც ძალიან ხელ-მოჭერით, ასე რომ ერთ საათს უკან ისევ კოჭებამდე მტვერი ძევს ამ ქუჩებზედაცკი. ხოლო რაც შეეხება ტფილისის სხვა ადგილებს, საცა ქალაქს საკუთარი მილის წყალი აქვს, ათასში ერთხელ ძლივს მოჰხვდება ნამი. მცირეოდენი ნიავი საკმარისია, რომ ასწიოს ამოდენა მტვერი ჰაერში და ვაი მოსიარულეთა ბრალი! აუცილებლად საჭიროა, ქალაქის გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება ათხოვოს ამ საქმეს და მოუხშიროს რწყვა უმთავრესს ქუჩებს და არ დაივიწყოს არც ის ქუჩები, სადაც ქალაქის მილს უხვად მიაქვს ამოდენა საკუთარი წყალი.

*** ამას წინად ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ კარგი იქნება გოლოვინის პროსპექტს, ამ უმთავრესს ქუჩას ტფილისისას, ჩვენმა მართველობამ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს და აღუკრძალოს დუქნების გამართვა უბრალო მიკიტნებსაო. ერთი ამ გვარი დუქანი მაშინვე დავასახელეთ, გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლებში, «ახალ მიმოხილვის» რედაქციის ქვეშ. ამ დუქნისთვის არა არსებობს თურმე საერთო წესი, რომ მიკიტანხანებმა, სასტუმროებმა და ლუდხანებმა ღამის

# ფელეტონი

### ვინ შევირთო?

(ორიოდე ფურცელი უცნობი კაცის დღიურიდგან)

1 მაისი

გაიფურჩქნა ყვავილი და თითქოს თავისაკენ გიზიდავს: მოდი, მიყნოსე, დასტკბი, გაიხარე და ილაღე ჩემის სურნელებით; გაიხსენ მონაოჭებული შუბლი, ადამიანი პრასა არ არის, რომ სიკვდილი არ იცოდეს და სამუდამჟამოდ ამოდიოდეს დედამიწიდგან, ხარობდეს და სტკბებოდეს ქვეყნის სიამოვნებითაო; ეს ქვეყანა წუთიერია და თვალი გაალე, რომ სიცოცხლე მოსჭამო, სიცოცხლით დასტკბე, შენი ჰია ახარო, არაფრის დარდი და ნაღველი არ ჩაგყვეს სამარეშიო...

ჰგრძნობ და თითქოს ჰკუაში გიჯდება: სიამოვნება, სიამოვნება და სიამოვნება, — ყველა სიამოვნებას ჩაგჩურჩულებს ყურში: გაფოთლებული ჰალა, აყვავილებული ბუჩქი, გრილი სიო, გაზაფხულის სასიამოვნო ბუნება. ბუნება დღესასწაულობს, ყვავილებით შემკულსა და დაფენილს ბროლის ტახტზედ აზრძანებულა და თავის ქვეშევრდომთ — ადამიანთა გულს ჰრძანებლობს: ილხინეთ, ვიდრე დრო გაქვთ და ხელს გიწყობთ, თორემ ეს ქვეყანა შეურჩენელიაო.

იხედები აქეთ-იქით და მართლაც გიკვირს: ყველა იღიმება, ყველა ლაღობს და სადღესასწაულოდ იმოსება; ჰია, პეპელა, ჩიტი, — ყველა, ყველა სიცოცხლესა სჩქარობს, ყველას ტოლი უპოვნია, მასთან შეერთებულა ერთ-სულ და ერთ-ხორც, გადუხსნიათ ერთმანეთისათვის გული და შიგ ახედებს და იხედება; ერთის დარდი მეორის მწუხარებაა, მეორის სიამოვნება პირველის სამოთხეა, სცხოვრობენ ერთად, ერთს გალიაში და ხარობენ ამ წუთიერს ქვეყანაში. ჰხედავ ყველა ამას და სისხლი აგიჩუხჩუხდება, გული გაგიფრთხიალდება, აგიტოკდება, გაგიფანცქალებს; გინდა ვისმესას მოჰხვიო ხელი, გული გადუხსნა, შენი ვარამი უამბო და აატირო, იმისი ვაი გაიგონო და ცრემლი ჩამოაგდო, მაგრამ მიიხედ-მოიხედავ და გული ჩაგწყდება, მიყუჩდება და მიჩუმდება, მხოლოდ ერთ ფერად-ღა გაისმის: ტაკ-ტუკ-ტაკ-ტუკ შენის უბის საათიეთ, რომელიც ორმოც-სამოცი წელიწადია ხელში გიჭირავს და სულ ერთ-გვარად, ერთ-ფერად, გულის შემაღონებლად გაქვს ტაკა-ტუკი. ვინ იცის, ამ ორმოცსა და სამოცს წელიწადში რამდენი მწუხარება და ნაღველი გამოიარე, როგორ არ გატრიალა ცხოვრების ზღვის ტალღამ, რამდენმა წისქვილმა არ გადიარა შენს თავზედ და იმას-კი მაინც ერთ გვარად გაქვს ტაკ-ტუკ-ტაკ-ტუკ! არც უმარილი მისთვის, არც პარიჟის მოდა, არც ბარისოვთან ახალი ფაია მოუტანიათ, — ტაკ-ტუკ-ტაკ-ტუკ-ტაკ-ტუკ და სხვა არაფერი.

2 მაისი

წუხანდელი ღამე არა მძინებია. გული ნაღვლიანადა მაქვს და თითქოს იმიტომ ნაღვლიანობსო, რომ რაღაცა აკლიაო, თუმცა მეც არ ვიცი რათა ვარ ასე. ჩემმა დამ შემატყო დანაღვლიანება და მკითხა, ხომ არავინ შეგიყვარდაო. გამეცინა. საკვირველი ხალხია, ღმერთმანი, ეს ქალები! ყველაფერში სიყვარული უნდა ჩააკერონ, თითქოს სიყვარულზე იყოს დამოკიდებული მთელის ქვეყნის მწუხარება და სიხარული, დარდი და სიამოვნება, ნაღველი და აღტაცება, ვარსკვლავთა ცაზედ გამოჩენა, მთვარის სიბადრე, მზის კაშკაში... ეს იმითი თუ აიხსნება, რომ ქალები საზოგადოდ უსაქმონი არიან და ეს უსაქმობა თუ ჰყოფთ იძულებულს, რომ სიყვარულზე ილაქლაქონ დღე ყოველ და ყველა საქმის თავსა და ბოლოს სიყვარული ჩააქსოვონ ხოლმე ფერად-ფერადის ძაფით.

4 მაისი

არ მემხიარულება, არ მელხინება, სახე მთელი დღე დანაღვლიანებული მაქვს და პირზედ ღიმი არ მეკარება. თუმცა არც ადრე ვიყავი მეტის-მეტი მხიარული და მოლხინე, მაგრამ ეხლა მეტად, მეტად ძალიანა მაქვს გული ჩახუთული. გუშინ ბიძიჩემისას ვიყავი; ვიფიქრე: წავალ, გავეილი, გულს გადავაყოლებ-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე! ბიძაჩემს რუსეთიდგან შვილი ჩამოსულია, მაგრამ ერთი სიტყვა არ იცის ქართული; ბიძაჩემიც ცოტა მწყრალადა ბძანდება რუსულზედ და მამა და შვილი ერთმანეთს ნიშნებით ელაპარაკებოდნენ. ამ სანახავმა ჩემს ფიქრებს სულ სხვა მიმდინარეობა მისცა და სხვა გზაზედ დააყენა. გავიღიმე... მწარედ. ბიძაჩემი ცას არის მიწეული, ისეა ნასწავლის შვილის ჩამოსვლით გახარებული და ის ფიქრი უფრო სწევს ცასა, რომ ჩემი შვილი „ღუბერნატორის კანცელარიაში“ იმსახურებსო... ბედნიერი!..

7 მაისი

ბიძაჩემი გაცოფებული დარბის ყველგან და ყველას თავის დაღუპვასა და ოჯახის პირ-ქვე დამხობას შესჩივის:

— შვილი კარგი არ გამომივიდა, ბედოვლათია, უშნო, გაურჯელი; არ ვიცი ვისა ჰგავს, ჩვენს გვარში ჯერ მაგისთანა არა ჩასახულა-რა, ურჯულოა, მარხვის გამტეხი, „სოციალისტობს“, ხატი და ეკკლესია არა სწამს, „პროტესტანტობს“.

შვილი-კი დადის და ყველგან აც ხადებს, რომ მე „კოსმოპოლიტი“ ვარო, ეროვნება არა მწამს, ჩემთვის ქართული, რუსული, ფრანგული, გერმანული არ არსებობსო... ყველანი სულელები არიანო... მახლას!..

9 მაისი

დღეს მამიდას ვეწვიე... ბიძიჩემის შვილს რუსეთიდგან ლექსების წერა დაუწყია... ქართულისა მაინც არა ესმის-რა და აი რა ირიბულად ესაუბრებოდა თავის მამიდას: „ჩემი მამა სწავლა არ მიგიღოს... არ... არ... понятія не имѣетъ... პრინციპი... ის დრო... დრო... миновало... ჩინი... ეს... ეს... пустяки, ჩემი ტეტო...“ მამიდაჩემი ამწვანებულს უღვაშებზედ შესცქეროდა და ბედნიერი გაიძახოდა: „ჰო, შვილო მართალს ამბობ, მამაშენი არა სტყუის: სწავლაა საჭირო, ისეთი დრო დაგვიდგა... ჩინოვნიკი გამოხვალ, მაშა, შვილო, შენ გენაცვალოს შენი მამიდა! დიდი ჩინოვნიკი, შვილო!..“ მამიდაც მადრიელი დარჩა ამ ლაპარაკისა და ძმისწულიც, თუმცა ერთმანერთისა-კი არა გაუგიათ-რა... მამიდაჩემმა გრძელი ქადაგება წამიკითხა: ცოლი შეირთე, უძეოდ ნუ ამოირთმევ სულსაო...

13 მაისი

დღეს ერთს ჩემს სასწავლებლის ამხანაგს შევეყარე... მე და ნიკო უნივერსიტეტშიაც ერთად მოვხვდით... ძალიან გვიყვარდა ერთმანერთი, ერთმანერთის გულის დარდი ვიცოდით. დიდის აღტაცებით მომეგება და გულში ჩამიკრა... მითხრა, ხაზინაში ვმსახურებ, ორი ჩინი მივიღე და ასეთი მშვენიერი ცოლი მყავს, რომ ვერ წარმოიდგენო... საცაა ღოგინად დამიწევება და დღე-დღეზედ „ნასლედნიკს“ მოველიო... მთხოვა, ერთხელ მეწვიე, ჩემს ცოლს გაგაცნობ, ერთი ორიოდე დღით გამოდი და ჩემთან იყა

თერთმეტს საათზე უნდა დაჰკეტონ დუქანიო. ზოგიერთ სასტუმროებს ნება-რთვა აქვთ აღებული გუბერნატორისაგან ღამის ორსაათამდე ვაჭრობისა, რადგან თეატრებიდგან ხალხი ხშირად პირველს საათზე გამოდის და ვახშამსა ნდომულობსო. ზემოხსენებულ დუქნისათვის-კი ამისთანა წესი და რიგი არა არსებობს თურმე, თერთმეტს საათზედ იქ დარაბებ-მოხურულს დუქანშიაც ვაჭრობენ და ამას გარდა დილის ოთხის ნახევარზე აღებენ დუქანს. ამ დროიდგან იწყება ერთი ჟივილ-ხივილი, თავს იყრიან დიდ-ძალი მეფაიტონეები ამ დუქანში და ერთი ორონტრიალი და ჟღრიამული უდგათ. ზოგიერთ მდგმურს ჩითახოვის ეზოსას პოლიციისთვისაც მიუმართავს საჩივრით, რომ გვაწუხებენო, და ვნახოთ რა განკარგულებას მოახდენს პოლიცია.

*** მეორე უკანონობა ჩვენის ვაჭრებისა და მედუქნეებისა კიდევ ის არის, რომ თავისი მაღაზიები ფულის გამსესხებელი კასები გაუხდიათ, თითეეში ათ მაურად იკირავებენ ყოველ გვარს ნივთეულს და მოპარულია, თუ არა, ამისას-კი არას დაეძებენ. ისეთს დუქანს ვერ იპოვით თუნდა გოლოვინის პროსპექტზედვე, რომ ორი სამი ვერცხლის საათი არა ჰქონდეს დაგირავებული სულ მესამედ-მეოთხედ ფასად და მამა-სისხლა სარგებლით. კარგი იქნება ამისთანებს აგრძნობინონ, რომ კანონი ყველას არ აძლევს უფლებას გირაოზედ ფულის გასესხებისას და დასაჯონ კიდეც, თუ ჩაუვარდათ ხელში, რადგან ღარიბს ხალხსა ჰყვლეფავენ და მერე ისიც უკანონოდ, საზღვარდაუდებლად და წეს-გაუვლებლად.

*** ამას წინად ჩვენის ქალაქის გამგეობის ყურადღება მივაქციეთ ყასაბთა საქციელზედ, რომელთაც ამ სიცხე-პაპანაქებაში ხორცი დაუხურავი უკიდიათ. კარგი იქნება სასტიკი ყურადღება მიაქციონ აგრეთვე მეთევზეებსა და ბაყლებსაც. ამას წინად ერთს პოლიციის მე-2 ნაწილში მცხოვრებელს იარმუკის პირას თევზი ეყიდნა და როცა გაეჭრათ, შიგნიდგან თეთრი მატლები გამოცვივნულიყვნენ. ბაყლებსაც ხომ თაფხობით უდგათ დამპალი გარგარი, ქლიავი და სხვა ხილეულობა. აქამდე გაზეთებში აცხადებდნენ ხოლმე ქალაქის ექიმები, რომ აი, ესა-და-ეს ადგილები გავსინჯეთ და ამდენი უვარგისი ხილი გადავაყრევინეთო. ჯერ-ჯერობით ამისთანა ამბავი გაზეთში არა დაბეჭდილა-რა. ნუ თუ ჩვენის ქალაქის ექიმებს ზაფხულის სიცხე ვერ უგრძნიათ ჯერა?

*** **ქ. გორი**: 2-ს ამ თვეისას გორელები შემდეგს უბედურებას შეესწარით: ექიმის ბ ნ გულიშამბაროვის ბიჭი(ოსი)საბანაოდ ჩასულიყო მტკვარში და საწყალი ისეთ ნაირად შეეთრია შუაგულს მორევში ტალღებს, რომ თავი ველარ დააღწია და დაირჩო. ხალხი დაედო საშველად დამრჩვალს, მაგრამ გვიანღა იყო. საბრალო კაცი ხიდთან ერთს საათს შემდეგ გამოათრიეს.

*** **სოფ. არბო**: გაუფრთხილებლობით აქ 29-ს ამ თვეისას ერთს ყმაწვილს დ—ს შემოაკვდა ბ-5 ნ. ლომაურის მოსამსახურე ოსი. აი ეს უბედურება როგორ მომხდარა: ყმაწვილი დ. თურმე გატენილს თოფსა სწმენდდა, იქვე იდგა საცოდავი მოსამსახურე, უცბად თოფმა დაიგრიალა და მუჭით საფანტი მიაყარა მარცხენა თვალში ოსს, რომელმაც იქვე განუტევა სული.

*** **სოფ. მეჯვრისხევი**: 28 თიბათვისას აქ ერთი უბედურება დატრიალდა: ერთის გლეხის რვა წლის ბავშვი ურემმა დაიტანა და გაჭყლიტა. აი ეს უბედურება როგორ მოხდა: მეურმეებს თივით სავსე ურმები ჩამოეტანათ სათიბიდგან და გლეხის ს. ბიბილაშვილის სახლის მახლობლად დაეყენებინათ. კამბეჩები გამოეხსნათ, თითონ იქვე მინდორზე წამოწოლილიყვნენ და დასძინებოდათ, ასე იქნებოდა ნაშუადღევის პირველი საათი. პატარა ხანს უკან იქვე ბავშვები გამოსულიყვნენ და თამაში დაეწყოთ ურმების მახლობლად. დიდხანს არ გაუვლია, რომ საცოდავმა ერთმა ბავშვმა როგორღაც ფეხი წაჰკრა თურმე ურმის წინ-სადგარს, ურემი ძირს დაეშო და თან დაიტანა უცოდველი მსხვერპლი. ისე მძიმედ დასცემოდა საცოდავს ურემი, რომ ურმის თავის ტაბიკს მუცელში გაერბინა. იქვე პატარა ბავშვების ყვირილზე მეურმეებსაც გამოეღვიძათ და ნახეს ეს საზარელი სურათი: როგორც კაკანათში ჩიტი, ისე მოჰყოლოდა საცოდავი ბავშვი ურემს ქვეშ. მამამ, რომელმაც დაინახა ესეთი მოულოდნელი უბედურება, გულ-საწვავად შეჰღრიალა, მაგრამ გვიანღა იყო. სანამ მღვდელს მოიყვანდნენ საზიარებლად, ბავშვი გაცივდა. კიდეც „უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწიაო“ რომ იტყვიან, ისე მოუვიდა ამასაც. თურმე საცოდავს გლეხს ამის მეტი შვილი არცა-კი ჰყოლოდა.

*** **ქიზიყი**: 3 ამ თვეისას აქ იყო გამართული წარმოდგენა, რომელსაც საქველ მოქმედო დანიშნულება ჰქონდა. თითქმის ყოველს ზაფხულს იციან აქ ქართულ წარმოდგენის გამართვა, მაგრამ წელს უფრო გამოცდილი სცენის მოყვარენი იღებდნენ მონაწილეობას. ითამაშეს ორმოქმედებიანი ანტონოვის კომედია „ქმარი ხუთის ცოლისა“ და ვოდევილი „ბუტიაობა“ აკაკისა. ხალხი ცოტა დაესწრო და შემოსავალიც არა ყოფილა დიდი. წარმოდგენა კარგად ჩაიარა, მოთამაშეებს რომ როლები უკეთ სცოდნოდათ. სულ თხუთმეტი კაცი თამაშობდა და როლი-კი ორმა თუ სამმა იცოდა. საზოგადოდ ქალები უფრო კარგად თამაშობდნენ, ვიდრე კაცები.

*** 5 ამ თვეისას, დილის თერთმეტს საათზე, ტფილისის მცხოვრებს ხარიტონ ხატიევს ჩხუბი მოუვიდა ტიგრან მირზახანოვთან, როცა ერთმანეთს ანგარიშს უსწორებდნენ. ჩხუბის დროს ხატიევმა დანა დასცა მუცელში მირზახანოვს და მძიმედ დასჭრა. ხატიევი შეპყრობილია და მირზახანოვი-კი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** იმავე დღეს რაჭის მაზრის აზნაური ანემპოდისტე ხახულის ძე ჯაფარიძე, 15 წლისა, მტკვარში ბანაობდა და დაირჩვა. გვამი იპოვეს და გაჰგზავნეს მიხეილის სამკურნალოში.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქ. ყარსი, 3 მკათათვე. თითქმის ერთს დროს აღებულ ბათუმსა და ყარსს შუა დიდი განსხვავებაა: ბათუმი არა წლობით, თვეობ[ი]თა და კვირაობით იზრდება და ჰყვავდება! წარმოიდგინეთ, ეხლა იმდენად გაზრდილა ჯერ მცირეწლოვანი ბათუმი, რომ ღრმა მოხუცებულსა და ყველასაგან პატივცემულს ქუთაისსაც-კი ემუქრებოდა ერთადერთის გიმნაზიის ხელიდამ გამოღალვას!

ყარსს-კი ჯერ შესამჩნევად აჩვევია მუსულმანობა და იმისი ზრდა მძიმე ნაბიჯით მიდის წინ. აქ არაფერი არ არის გასაკვირი, რადგან ბათუმის ზრდასა და აყვავებას ყოველისფერი ხელს უწყობს, ყარსი-კი თითქმის სრულიად მოკლებულია ამ უპირატესობას.

ყველაზედ უფრო შესამჩნევი ნაკლი ყარსში საკმაოდ რიგიანის სახლების უქონლობაა, რის გამოც ბევრი მოსამსახურე (რომელთა რიცხვი აქ ბლომადაა) იძულებულია იცხოვროს ძველებურად აშენებულს დაბალ სახლებში, სადაც ნოტიოსაგან ყოველთვის უნდა ელოდებოდეს სხვა-და-სხვა ავადმყოფობას.

საკვირველი ის არის, რომ აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ სულ საქენობით დალაგებული ქვა, მაგრამ იშვიათად ჰნახავთ, რომ აქ სადმე ქვის სახლს აშენებდნენ. სამწუხაროდ უნდა შევნიშნოთ, მუშა ხალხისა და იმათის ზედამხედველის გაუფრთხილებლობით ხშირად ხდება უბედურება, როცა წამლით ქვასა სტეხენ: ისე კვირა არ გაივლის, რომ თითო-ოროლა მუშა არ იმსხვერპლოს, ან საშინლად არ დაასახიჩროს ქვის საფეთქა მასალამ.

სხვა კუთხე-მხარეს წელიწადში ქინქყლიანად მარტის თვეე ამოურჩევია და ყარსს-კი მაისი (მარტზე აქ რაღა ითქმის, რადგანაც გაზვიადებული ზამთარი იცის). წელს ბევრ სხვა მხარედამაც უჩიოდნენ მაისს, მაგრამ ეს იქ იშვიათი მოვლენაა და ყარსში-კი ყოველ წლობით მაისსა ჰქონია იჯარით აღებული ავ-ზნეობა: პირველიდგან უკანასკნელ რიცხვამდე დღეში ათჯერ იცვლის ხოლმე ფერს...

—

ყარსში იმდენად საკმაოა უმაღლეს თუ საშუალო სასწავლებლებში სწავლა - დამთავრებულთა რიცხვი, რომ დიდი სირცხვილია მათთვის ერთი რიგიანი სცენა არა ჰქონდეთ და სცენის მოყვარეთა დასი არა ჰყავდეთ, რომ თთვეში ორჯელ მაინც სა ამო წარმოდგენის გამართვა შეეძლოთ. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ უნდა შევნიშნოთ, რომ, რიგიანი-კი

---

ვიო... მეჩქარებაო, და გაჰქუსლა... გამიკვირდა: ვინ ნიკო და ვინ „ჩინები“? ნუ თუ ის ნიკო აღარ არის, რომელსაც უნივერსიტეტში ვიცნობდი?.. რა იქნა ის დაპირებანი, აღთქმანი, საზოგადო ბედნიერებისათვის შრომა და მოღვაწეობა!.. არა, არა, ტყუილად ამბობენ ჩვენი მოხუცებულები: ჩვენს შვილებს, უნივერსიტეტში რომ მიდიან, ტვინი უყინდებათო... იქ წასვლით-კი არა, აქ რომ ჩამოდიან, მაშინ უყინდებათ ტვინი... ბიძაჩემიც შემომხვდა ბულვარზედ. ასეთია შვილის დარდით, დანა პირს არ უხსნის... იმანაც ქადაგება წამიკითხა: ცოლი შეირთე, დაბინავდი, აღვირ-აშვებულ ცხენივით ნუ დარბიხარო... რას ჩამაცივდნენ, ნეტა ვიცოდე?!

14 მაისი

დილით გაზეთები გადავათვალიერე; არაფერი იყო-რა, როგორც ყოველთვის. ის იყო ხელიდგან უნდა გამეგდო, რომ ერთს ამბავს მოვკარი თვალი ეს ამბავი სტატისტიკური ცნობები იყო ჩვენის ქალაქისა. ამ ცნობებით სჩანდა, რომ ჩვენს ქალაქში ყოველ წლივ ძალიან ცოტანი იწერენ ჯვარ[ს] და რომ ეს რიცხვი წლითი-წლობს უფრო მცირდება. გასათხოვარი ქალები ორჯელ უფრო მეტნი ყოფილან ახალგაზდა და დასანიშნავ ვაჟებზედ. შემაფიქრიანა ამ ამბავმა. საბრალო ქალები!.. ვაი იმათის პატრონების ბრალი, თორემ ქალებს რა უჭირთო, გამიელა თავში ფიქრმა. მართლაც, ჩვენი ქალები ყოვლად უმაქნისნი არიან. შრომა იმათ არ იციან, წესიერი სწავლა იმათ არა აქვთ მიღებული, რიგიანად შვილს ისინი ვერ გამოგიზრდიან. გაუთხოვრებიც რომ დარჩნენ, თავიანთ თავის გამოკვება არ შეუძლიანთ, მშობლებს უნდა დააწვნენ თავზედ: ეს მოდა აღარ არის, სხვაა ეხლა მოდაო,— უნდა გაიძახონ და მშობლებმაც ტყავი უნდა გაიძრონ და გაიყიდონ და ქალს-კი მოდაზე ჩააცვან, დაჰხურონ, მოდაზე გამოიყვანონ ქვეყანაზე, თორემ არ გაგვითხოვდებაო. თითქო კაცი იმიტომ მოიწონებს ქალს და შეირთავს, რომ მოდაზეა ჩაცმული, და არა იმიტომ, რომ მეგობარს ეიშოვნი, ჩემისთანავე ადამიანი მეყოლება გვერდით და ჭირსა და ლხინს გამინაწილებსო... მაგრამ იქნება ბევრი ცოლს მოდის გულისათვისაც თხოულობდეს, ვინ იცის, ქვეყანა ჭრელია!

29 მაისი

წამოვდექი თუ არა საწოლიდგან, გავიფიქრე, დღეს წავალ სადმე-მეთქი. ნათესავებთან არ მიმიწევდა გული, მაშინვე დარიგებას წამიკითხავდნენ: „ცოლი შეირთე, უძეოდ ნუ ამოირთმევ სულს, სანთელს მაინც აგინთებს სიკვდილ შემდეგ შენის სულის მოსაგონებლად და შენს საფლავს კურთხევას მაინც აღირსებსო“, ან-და: „აღვირ-აშვებულ ცხენივით ნუ დაჰქლავ ტფილისს, ჰკუას დაულაგდი, მოიკრიფე, დაბინავდი, ერთი ბედოვლათიც გვეყოფა სახლში, ჩემი დარდაკა შვილი; ვინძლო ახლა შენ არ აგვხადო თავზედ ნამუსის ქუდი და ქვეყანაზედ სამასხაროდ არ გამოგვიყვანოო“. მომაგონდა, რომ ამას წინად ნიკოს დავპირდი გნახავ-მეთქი და გავეშურე იმისაკენ. ნიკო დიდის სიხარულით დამიხვდა, ქართველური გულ-ღია მასპინძლობა გამიწია. მე რომ შევედი, რუსულ ოფიციალურს გაზეთსა კითხულობდა. გამაცნო თავისი ცოლი. მშვენიერი ცოლი ჰყოლია, მაგრამ, ბიძიჩემისა არ იყოს, დარდაკია! ნიკოს „ნასლედნიკის“ მაგიერ „ნასლედნიცა“ გასჩენოდა და ერთს ამბავში იყვნენ ცოლ-ქმარნი. ყმაწვილი მაჩვენეს და დედამ რომ აკვნიდგან ააყენა, წელზედ ხელი გადაუსვა და სიამოვნებით ჩაილაპარაკა:

— რა მშვენიერი „საკარსეტო“ ტანი აქვსო.

შემრცხვა და რომ არ შემეცნევინებინა, ნიკოს მივუბრუნდი:

— ნეტა რა გიპოვნია მაგ გაზეთში სახარბიელო, რომ აგრე გულმოდგინედ ჩასცქერი-მეთქი? — დავეკითხე.

— მმართებლობის განკარგულებანსა ვკითხულობ, მინდა გავიგო, ჩვენს უწყებაში ვინ გაუხდიათ „ჩინის“ ღირსიო,—ისეთის საქმიანის კაცის კილოთი მომიგო, თითქოს ამ ცნობაზე იყოს დამოკიდებული იმისი სიკვდილ-სიცოცხლეო...

ვინანე, რად მოვედი-მეთქი, მაგრამ რაღას მიშველიდა დაგვიანებული სინანული: სტუმრად მოვსულიყავ და ზრდილობა ითხოვდა, რომ დავრჩენილიყავ. სადილს უკან ნიკო „Дѣло“-ს მოუჯდა და დაიწყო ქაღალდების წერა, მე-კი წიგნთ-საცავში მომასვენეს.

წამოვწექი, მაგრამ თვალთ არ მეხუჭებოდა. წამოვავლე პირველსავე წიგნს ხელი, გადავშალე და წავიკითხე „ჩემი დღიური, ელენე ლ—ისა“. ნიკოს ცოლის დღიური ჩამვარდნოდა ხელში. თუმცა ნება არა მქონდა გამეშალა, მაგრამ წყეულმა ცნობისმოყვარეობამ დამაძალა და ამიტაცა. ნიკო თავისს ცოლს მეტად აქებდა და ცამდე აჰყავდა: ნასწავლია, განათლებულია, ინსტიტუტში შეასრულა სწავლაო, და ამან უფრო გამაბედვინა დღიურის გასინჯვა. მინდოდა გამეგო, რა აზრები უღელვებდა ქალობაში გულს ჩემის მეგობრის ცოლს, რა მიმართულების სწავლა მიეღო, რა „იდეალები“ ჰქონდა...

გადავშალე და აი ჩვენის ქალების განათლების ნიმუშები:

... დღეს მაშო ჭიტაძეს ქალმა ელამი დამიძახა, ასეთი გავწდი, სისხლი ყელში მომებჯინა...

გუშინ საღამოს, ინსტიტუტიდგან რომ დავბრუნდი, ჩუმად „კორსეტში“ გამოვიწყე წელი: რა მშვენიერება რამა ყოფილა „კორსეტი“!..

თმა ჩამომდის და რა ვქნა, რა მეშველება? მართლა რომ გავმელოტდე, ვიღას მოვეწონები, რაღას ვეგვანები, ზედაც აღარავინ შემომაფურთხებს!..

... რა კარგი რამ არის „ტიურნური“, რა მშვენივრად აყენებს კაბას! პატარა ბალიშის „ტიურნურს“ შევიკერავ, რაც უნდა ჰქმნან, თუმცა „ინსტიტუტკებს“ აკრძალული გვაქვს...

დღეს ვალოდიასაგან „ამურნი პისმო“ მივიღე. რა მშვენივრადა სწერს ვალოდია, როგორ ვუყვარვარ! ერთს ალაგას თავისს „პისმოში“ „შეუბრალებელს დეზდემონას“ მეძახის... „დუშკა“!..

ველარ განვაგრძე და ოთახის კუთხეს ვესროლე მშვენიერი დღიური!.. მწარე ფიქრებმა წამ[ი]ღო და სულ დამიკარგა და დამიფრთხო ძილი... ნიკოს პატარა ქალის ჩხავილი მომესმა მეორე ოთახიდგან... „რა მშვენიერს დედას გაუზრდის მამულს ნიკოს განათლებული მეუღლე“-მეთქი, გამიელა თავში... ახ, ნეტა იქა ყოფილიყვნენ მამიდაჩემ-ბიძაჩემი, რომ დღიური იმათთვისაც წამეკითხა!

31 მაისი

დღევანდელი დღე ბრაზით ვირჩევბი. არ მომასვენეს, არა და არა! ხან მამიდა მეწვია, ხან ბიძაჩემი, ხან ვინ და ხან ვინა. ყველანი ცოლის შერთვას ამხირებიან... ბიძაჩემმა მახარა, რომ ჩემი „დარდაკა“ შვილი „ოკრუჟნოი სუდში“ გავამწესებინე, ერთი წელიწადი უჯამაგიროდ უნდა ემსახუროსო... საკვირველი და ახირებული ხალხია, ქრისტეს გეფიცებით! არა, რას ჩამციებიან, უძეოდ ნუ ამოირთმევ სულსა, შენის ქორწილით გაგვახარეო... ასეთი განათლებული და ნასწავლი ცოლი შეგრთოთ, რომ შენზედ განათლებული იყოსო... გაგონილა! ამისთანა ახირება გინახავთ!.. ნიკოს ცოლი უნდა გავაცნო ყველას, ვნახოთ როგორ მოეწონებათ?.. რა ვქნა, ქრისტიანები არა ხართ, მირჩიეთ რამე: ვინ შევირთო, ვინა! გამაგებინეთ!..

ონანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ურიგო სცენასაც მოკლებულია აქაური საზოგადოება, რის გამოც, თითქმის კი არა, წელიწადში დიდის ჭაპან-წყვეტით იმართება ორჯელ-სამჯერ წარმოდგენა, ანუ იდგმის ცოცხალი სურათები ქქ. ო. ა. ტომიჩისა და ე. ი. პრინცის თაოსნობით. პირველი ადგილობრივის საქალებო სასწავლებლის მზრუნველია და მეორე თეთრის ჯვარის საზოგადოების საპატიო წევრი. დიდის მადლობის ღირსნი არიან ეს პატივცემულნი მანდილოსანნი, რომელთა შემწეობით ამ ზემოხსენებულ დაწესებულებათ (საქალებო სასწავლებელი და თეთრის ჯვრის საზოგადოება) ყარსიდგანაც ყოველ წლობით კარგი შემოსავალი აქვთ. ამ წლის სეზონში პირველად ქ-ნ ო. ა. ტომიჩის თაოსნობით, 21 მაისს, იყო დადგმული ცოცხალი სურათები, რომლის შემოსავალი საქალებო სასწავლებლისთვის იყო დანიშნული. 12 ივნისს ქ-ნ ე. ი. პრინცის თაოსნობით გამართეს წარმოდგენა. შემოსავალი ამ წარმოდგენიდამ გაეგზავნა თეთრის ჯვრის საზოგადოებას. 2 ივლისს ლატარია-ალეგრი გაჰმართა ქ. ტ—ჩმა კვლავ საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ და მგონია ამითი გათავდეს ამ წლის სეზონი.

ეხლა უსათუოდ მკითხავთ: დანარჩენ დროს ამდენი საზოგადოება სად და როგორ ატარებსო?! ჰმ! თქვენგნით არ მიკვირს! ყარსს, ღვთის მოწყალებით, ორი კლუბი აქვს: სამოქალაქო და სამხედრო. სადაც კლუბია, იქ, კარგად მოგეხსენებათ, მწვანე სტოლებიც იქნება და ყველასაგან პატივდებული ბანქოც. სასაცილო იქნება ვინმემ სთქვას, რომ აქ დროს გასატარებელი არა არის-რაო. ამ ორს კლუბში კვირაში თითო ჯერ საცეკვაო სალამო იმართება და თოთხმეტჯერ ბანქოს თამაში. მოდი და მოიწყინე!

ი—ნე ქ—ძე

## უცხოეთი

საფრანგეთი. 27 მკათათვეს ჩრდილოეთის რესპუბლიკანურ-დემოკრატიულს საზოგადოებას, რომელიც ლილის რადიკალების დაარსებულია, კრება ჰქონია. ამ კრებაზედ სიტყვა წარმოუთქვამს გობლეს 1889 წ. არჩევანებზე. გობლეს უთქვამს, რომ არა მგონია რესპუბლიკას მართლაცდა რაიმე დიდი განსაცდელი მოელოდეს. ჩვენი რესპუბლიკა შეურყეველია, რადგან თვრამეტმა წელიწადმა დიდი სიმკვიდრე მისცა, იმ თვრამეტმა წელიწადმა, რომლის განმავლობაშიაც წესიერება შეუცვლელად იყო დაცული და რომლის დროსაც ახალი თაობა დაიბადა, წინააღმდეგი ძველის წეს-წყობილებისა. ჩემის აზრით, არავის არ შეიძლება ჰქონდეს იმედი, ვითომ მონარხია, ან იმპერია კვლავ აღდგენილი იქმნება: ჩვენი ქვეყანა დინასტიის გამო ბრძოლას თავისს დღეში ველარ მოესწრება. ეხლა ბრძოლას მხოლოდ სხვა-და-სხვა აზრი იწვევს, სხვა-და-სხვა მოძღვრება. გობლემ განიხილა შემდეგ მიზეზი ბულანჟიზმის გამოტყვრომისა და ქვეყნად წარმოშობისა. მე უარ-ვყოფო, სთქვა ორატორმა: ვითომ ქვეყანა ცეზარიზმზე იყოს მოწყურებული. ბულანჟიზმი ყველა უკმაყოფილოს ერთად შეერთებამ დაჰბადა. საუბედუროდ, ბულანჟელთა შორის ბევრნი არიან აგრეთვე რესპუბლიკელნიც, უკმაყოფილონი რესპუბლიკანურ დასის პოლიტიკით. ჩემის აზრით, ეს უკმაყოფილება გამოწვეულია: ჯერ ერთი, ეხლანდელის პალატის უძლურებით, რომელიც იმას მიეწერება, რომ პალატის უმრავლესობა არ ემხრობა, და მეორედ იმის გამო, რომ სენატსა და დეპუტატთა პალატას ერთმანეთში გამწვავებული დამოკიდებულება აქვთ. ეგ ახლად გამომტყვრალი ბულანჟიზმი იმ სიკეთეს მოგვიტანს, რომ მჭიდროდ შეაერთებს რესპუბლიკელთა უმეტესობას. ამ ახლო ხანში უეჭველად უნდა ხელი შევუწყოთ დაბოლოვებას შემდეგ რეფორმებისას: რეფორმას კანონ-მდებლობისას ასოციაციის შესახებ, გარდასახადთა ახალ წეს-რიგის შემოღებისას და კონსტიტუციის გადასინჯვისასაო.

— დიდი კამათობა გამოუწვევია დეპუტატთა პალატაში სამხედრო კანონის მე-23 მუხლს, რომლის ძალითაც სამხედრო ბეგარა უნდა გადაიხადონ ერთის წლით აგრეთვე სემინარიის მოსწავლეთაც. კამათობა აუტეხნია არხიეპისკოპოსის ფრეპპელის სიტყვებს: „იმ ჯარით, რომელსაც ეგ სამხედრო კანონი შეგქმნით, დამარცხებას ჩაუვარდებით პირდაპირ პირშიო“. ამაზედ ყვირილი ატეხილა, ზოგს გაუკიცხავს არხიეპისკოპოსი, და ზოგს მოსწონებია იმისი სიტყვები. მელინს შეუნიშნავს: „ვსწუხვარ, რომ არხიეპისკოპოსმა და მემარჯვენეთა ორატორმა ისეთი სიტყვა წარმოსთქვა, რომლის თქმა დიდად სათაკილოა ყველასათვისაო“. „მე კანკალი ამიტანს ხოლმე, როცა წარმოვიდგენ, თუ რა განსაცდელში აგდებთ მაგ ასირებულის კანონით საფრანგეთსაო“, უპასუხნია ფრეპპელს. ერთს დეპუტატს მიუგია, რომ ფრეპპელს გადაწყვეტილი აქვს ყოველთვის და ყველაფერში მარცხი გვიწინასწარმეტყველოს. მაგრამ ნუ დაგვიწყდებათ, რომ საფრანგეთი კათოლიკეთა ეკკლესიაზედ მაღლა სდგას და თავისის თავის პატრონობასაც შეიძლებს, თქვენ რაც უნდა შეურაცხება მიაყენოთ თქვენის უთავ-ბოლო ლაპარაკითაო. პალატას კანონი დაუმტკიცებია.

ავსტრი-ვენგრია. პრაგელი კორრესპონდენტი «Temps»-ისა იუწყება, რომ ვითომ სეიმში ახლად არჩეულმა დეპუტატებმა მლადოჩეხებისამ გადასწყვიტეს ამ დღეებში თავისს კრებაზედ: შევურიგდებით სტაროჩეხებს, თუ დათანხმდებიან და ჩვენთან ერთად იმპერატორს პეტიციას მიართმევენ, რომ ჩეხიის ავტონომიური უფლებანი აღდგენილ იქმნას და მესამე გვირგვინიც დაიდგას წმ. ვიაჩესლავისაო.

## სიყვარული და ქორწინება ამერიკაში

წერილები დე-ვარინისა

III*)

ამერიკელთ თავი მოსწონთ თავის ცოლებისა, დებისა და ქალების სილამაზით და ამ ბუნებრივს სამკაულს უფრო თავისს ზნე-ჩვეულებათა გავლენას მიაწერენ, ვიდრე მოდგმისას. აი ერთმა მათგანმა რა აზრი გამოსთქვა ამ საგნის შესახებ. ამ კაცს ყველაფერგან უმგზავრია და ძალიან სინიდისიერი მეთვალყურეც ყოფილა. მე იგი ჯერ მადრიდში შემხვდა, შემდეგ ნეაპოლში და, დასასრულ, m-me X-თან სადილზედ. ორივეს გვესიამოვნა ერთმანეთის ნახვა. ორივეს გვყავს ოკეანეს იქითა მხარეს მეგობრები და ამიტომ მეგობრული ლაპარაკიც ჩქარა გავაბით. იმისი ლაპარაკი მით უფრო მომწონდა, რომ თავისებურის ჭკუის კაცი იყო, საერთო ფეხის ხმას არ აჰყვებოდა ხოლმე და დაწყებულს ლაპარაკს ხშირად სულ მოულოდნელსა და წარმოუდგენელს ბოლოს გამოაბამდა. სადილზე ლაპარაკი ჩამოგვივარდა იმის შესახებ, თუ რომელი მოდგმა სჯობია, ლათინთა, თუ შეერთებული ინგლისისა და საქსისაო. თქმა არ უნდა, რომ ჩემი მოზასე უკანასკნელსა სთვლიდა უპირატესად.

— მერმისი იმას ეკუთვნისო, ამბობდა იგი: და დრო მოვა კიდეც, როცა მთელს ქვეყანას იგი დაასახლებს. ამ საუკუნის დასაწყისს შეერთებულს შტატებში სულ ხუთი მილიონი მკვიდრი იყო, ეხლა სამოცი მილიონი ვართ და ჩვენგან ჯერ ეხლავე უკვე სამხრეთ ამერიკაში გადადიან დასასახლებლად. მთელი ოკეანეა ჩვენის კოლონისტების შვილებით არის სავსე. შეადარეთ თქვენი ფრანგთა ოჯახი, სადაც ორი, ან სამი ყმაწვილი ძლივს მოიძებნება, ჩვენს ამერიკელთა ოჯახს, რომელშიაც ყმაწვილი ათობითა და თორმეტობით მოიპოვება. მკვიდრთა გამრავლებით თქვენ წინ არ მიდიხართ, ამერიკის მკვიდრთა რიცხვი-კი ყოველ ოც-და-ათს წელიწადში ერთი-ორად ხდება. თქვენ მზითევი გღუპავთ.

— როგორ თუ მზითევი?

— რასაკვირველია. განა იმ ჩვეულებაზედ უსულელესი-და იქნება რამე, რომ თავის შვილების მერმისი უზრუნველი უნდა ჰქონდეს ადამიანსაო. გადმობრუნებული ჭეშმარიტება თუ გინდათ, ეს არის: მოხუცნი ათასს გაჭირებას იტანენ ახალგაზდათათვის; ხან-გადასულნი მსხვერპლად იწირავენ თავს იმათთვის, რომელთაც ჯერ თავისივე შველა და შემწეობა არ შეუძლიანთ! ნეტა ეს მსხვერპლი ბედნიერს მაინცა ჰყოფდეს მათ, ესეც არ არის-და: ამ გვარის ჩვეულებით ათაში ცხრას აუბედურებთ.

ჩემმა მეგობარმა ლაპარაკის სადავეს მოუშვა და ყურის გდების მეტი აღარ უნდოდა-რა.

— იქნება გგონიათ, რომ სოცარის, ასირებულის აზრით უნდა გამაკვირვოსო? სულაც არა. აგერ, გაიხედეთ თქვენ პირდაპირ, სამი ყმაწვილი ქალი ზის. ერთი ლამაზია, ორი დუხჭირი. მარჯვნივ რომ ზის, ის გვერდელაა და გაცრეცილი, კუშტი, ნაავადმყოფარი სახე აქვს. გვერდით რომ და უზის, იმას არაფრით აღემატება. ორივეს, კარგად მოგეხსენებათ, კაი მზითევი აქვსთ, მომავალიც უღიმით და ამიტომ მთხოვნელიც ბევრი ჰყავთ. თუმცა ასეა, მაინც ეჭვს გარეშეა, რომ სასტიკი და, თუ გინდათ, უსამართლო ბუნება მაგათს ბედნიერებას ხელს არ შეუწყობს. მაგათი მამა უკვე მოხუცი იყო, რომ ჯვარი დაიწერა ერთს მდიდარსა და დუხჭირს ქალზედ, და აგერ შედეგიც. მერე! ამ ორს გვერდელა და ულამაზო ქალს ბევრი ახალგაზდა კაცები დასდევენ, რომელთაც არ ეყვარებათ ეგენი, არც ღირსნი არიან, მართალი რომ სთქვას კაცმა, არ ეყვარებათ, რადგან ისინი სიმდიდრეს ეძებენ, შეძლებას, რომელიც უწყალო ბედმა აკვანშივე არ დაახვედრა და რომლის შეძენის შნო და უნარიც არ მოუპოვებათ. მესამეს-კი ბუნების მიერ ყველაფერი აქვს მინიჭებული, რომ ადამიანს მოეწონოს, აქვს, მაგრამ უმზითვოდ რას გაარიგებს? ან მოხუცსა და გადაყრუებულს ქმარს უნდა გაჰყვეს, ან სამუდამო გაუთხოვრობა ირჩიოს. ეყოლებათ იმ ორივ დუხჭირებს შვილები? ვეჭვობ და არც სასურველია, რომ ეყოლოთ.

— გსთქვათ, ეგრეა, მაგრამ განა მარტო დუხჭირებსა აქვთ დიდი მზითევი? ლამაზებიც არიან ფულიანები.

— მართალია, მაგრამ დუხჭირს ერთს ლარზედ რად აყენებთ ბუნებით ლამაზთან? ის კაცი, რომელსაც ორი მაგისთანა მახინჯი ქალიშვილი მისცემია, ხომ განიდგან უნდა მერებოდეს, რომ გაათხოვოს როგორმე თავისი შვილები. ამ გვარს ქორწინებას საზოგადოებისათვის-კი არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ბუნებისთვის რომ მიგვენებებინათ ეგ საქმე, ის უკეთ მოაგვარებდა. ბუნების კანონით, ახალგაზდა, ჯან-საღმა და ღონიერმა კაცმა ყმაწვილი, ჯანსაღი და ღონიერივე ქალი უნდა შეიყვაროს. იგივე კანონი თხოულობს, რომ ამისთანანი ერთად შეერთდნენ და, როგორც არაკებშია, ბევრი თავისივე მსგავსი შვილიც ეყოლოთ. რად გინდათ, რომ მეორესად ჰყიდულობთ ქმარს იმისთანა ქალისთვის, რომელსაც სუსტი, სნეული არსება მიეცემა, და შემდეგ ეს არსებაც დიდის წვალებით უნდა აცოცხლოთ, იმასაც დიდ-ძალი მზითევი მისცეთ, რომ კაი-ვაგლახით გაათხოვოს და თავის მაგვარნი გაამრავლოს ამ ქვეყანაზედ. ბუნება ყველგან და ყველაფერში არჩევანითა ჰხელმძღვანელობს. ზოგიერთი პირუტყვი და მცენარე უეჭველად უნდა გადაშენდეს, რადგან ბუნების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

— ერთის სიტყვით, თქვენ იმ აზრისანი ხართ, რომ ულამაზო, მახინჯი და დუხჭირი ქალები უნდა ამოწყდნენო?

— ჰო, მაგრამ ძალ-მომრეობით-კი არა. ბუნებას მიაჩემეთ, ის გაუძღვება მაგ საქმეს, და ნუ სცდილობთ მაგისთანა ქალებისა და აგრეთვე სუსტის აგებულებისა და სნეულ კაცების შთამომავლობის გახანგრძლივებას. ამისთანას ადამიანის აღზრდასა და მოვლას უფრო მეტი წვალება და ჯაფა სჭირდება, ვიდრე ჯან-საღისა და მაგარის აგებულებისას. დიდ-ძალი საზოგადოებას გაქვთ დაარსებული, რომ კარგის ჯიშისა და ჯილაგის ცხენები, შინაური პირუტყვი, ცხვარი და ძროხა გაამრავლოთ, ხოლო როცა ადამიანზედ მიდგება საქმე, აქ-კი რაღაც სულელური ჩვეულება შემოგიღიათ, ბუნების კანონის წინააღმდეგი, და სცდილობთ სიდუხჭირე და სნეული ხალხი გაამრავლოთ. თქვენ რომ გკითხოთ, ძალიან მოგწონთ, როცა ახალგაზდა კაცი გონჯსა და სნეულს მზითვიანს ქალს ირთავს და აქებთ კიდეც ასეთს ქორწინებას. ფრიად ხარობთ და ულოცავთ კიდეც მშობლებს, როცა ახალგაზდა, მშვენიერი ქალი ცოლად მისდევს მოხუცს კაცს, რომელსაც თავისი სიცოცხლე უკვე მოუჭამია, მაგრამ შეძლებული-კია. სწორედ მოთმინების ფიალა მევსება, როცა ამისთანა სისაძაგლესა ვხედავ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბუნებასაც ევსება ფიალა მოთმინებისა და სამაგიეროსაც გიხდით, სასტიკად იძიებს შურს. სტატისტიკა წინ გიყენებთ ამ საშინელს მდგომარეობას და თქვენ-კი თვალებსა ჰხუჭავთ, რომ საფრთხე არ დაინახოთ. მეცნიერება, მედიცინა, ფიზიოლოგია და თვით სასამართლონიც-კი ჩაგძახიან ამ ჭეშმარიტებას და თქვენ-კი ყურები თითით დაგიცვიათ და არა გინდათ-რა გაიგონოთ და შეისმინოთ. თქვენის ოჯახის მამა ტუკს იძრობს, რომ ქალის სამზითვოდ ფულს თავი მოუყაროს, დედა-კი დარბის და შვილისათვის მზითვიანს ქალს დაეძებს. ერთმა იმათგანმა მითხრა ამას წინად: „ჩემს ერნესტს მინდა ცოლი შევრთო, ძალიან ცელქობსო. მდიდარს საცოლეს ვეძებ, ერნესტი უფულოდ ერთს დღესაც ვერ იცოცხლებს. თუნდა ლამაზიც არ იყოს, არა უშავს-რა. ხომ არავის იცით ამისთანაო?“ იმისი ერნესტი-კი საძაგლად აღზრდილი სულელია, სნეული, ნაძირალი და ნახევრად გიჟი. კეთილი დედა ქალს ეძებს იმისთვის და უეჭველია იპოვნის კიდეც დუხჭირს ვისმე, კაი მზითვიანს. დაქორწინდებიან და უჩვევენ, რომ გამრავლდით და შვილი-შვილებით აივსენითო, მაგრამ... ღმერთმა დაგვიხსნას შედეგისაგან! ჩვენ შეერთებულს შტატებში უფრო გონიერად ვიქცევით. მართალია, ტანისამოსით და გარეგნივ გვაძავთ, ხოლო თქვენს ცოლ-ქმრობრივს თეორიას-კი უარ-ვყოფთ. ჩვენ სიყვარულით ვირთავთ ცოლს და ამითი არც მწვადი იწვის, არც შამფური. ერთმა ჩემმა, ჩიკაგოში მცხოვრებმა და მილიონების პატრონმა, მეგობარმა ამას წინად თავისი ქალი ერთს ღარიბს კაცზე მიათხოვა. ქორწილის დღეს ახალგაზდებს ოთხასი თუმანი აჩუქა იმ პირობით, რომ წადით და ევროპა მოიარეთო. ყველა ამბობს, რომ დიდი გულ-უხვობა გამოიჩინა იმ კაცმაო. იმისი სიძე ჰშრომობს, ცოლს თაყვანსა სცემს და ქალიც თანაუგრძნობს, და, დარწმუნებული ვარ, ათი წელიწადი არ გაივლის, რომ ექვსი ჯან-საღი შვილი ეყოლებათ და ხუთი ათასი თუმანი შეძლება ექნებათ! ახლა-კი მშვიდობით!

გამომემშვიდობა ჩემი ნაცნობი და წავიდა. ჩემს გვერდზედ მჯდომი ხნიერი დედაკაცი და ინგლისურის ენის მცოდნე ალბად ყურს გვიგდებდა, რადგან, როცა ჩემი ნაცნობი წავიდა, იმან ჩუმად ჩაილაპარაკა:

— ღმერთო, ეს ამერიკელები რა მატერიალისტები არიანო!

*) იხ. „ივერია“ №№ 139 და 140.

## დეპეშა

5 მკათათვე

პეტერბურგი. ბ. როზენი, რომელიც რუსეთის სამხედრო აგენტად არის რომში, გადააყენეს ამ თანამდებობიდგან და დანიშნეს უმაღლესის შტაბის უფროს ხელ-ქვეითად.

პარიჟი. გაზეთ „Temps“-ის სიტყვით, ბულანჟეს სწამებენ, ვითომ შეთქმულობა შეადგინა, სახელმწიფოს წეს-წყობილებას ემუქრებოდა და ვითომ სახელმწიფო ფულები გაჰფლანგაო. უპოვნიათ იმის საბუთი, ვითომ ელისეს სასახლეს თავს უნდა დასხმოდნენ და რამდენიმე მაღალის ხარისხის ოფიცერიც დახმარებას შეჰპირებოდა ბულანჟესაო.

ბერლინი. გაზეთ „Hambourger Nachrichten“-ში გრაფი ვალდერზეე სწერს, რომ ტყუილია ის ამბავი, ვითომ მე ვურჩევდი იმპერატორს ვილჰელმს ეხლავე ომი დაეწყოთო.

რიო-ჟანეირო. გუშინ სალამოს იმპერატორს ბრაზილიისას, როცა თეატრიდგან გამოდიოდა, ვიღაცამ დამბაჩა ესროლა, ხოლო ტყვია არ მო-

ხვედრია. დამნაშავე ტომით პორტუგალიელია.

**პარიჟი.** ლაგერი და დერულედი წავიდნენ ლონდონს.

**ლონდონი.** „Times“-ს ატყობინებენ დეპეშით ვენიდგან, რომ ოსმალეთი მიემხრო სამთა კავშირსაო.

ეგვიპტიდგან იუწყებიან, რომ გენერალ გრენფელმა დერვიშებს შეუთვალა დამორჩილდით და სამაგიეროდ ხელს არ გახლებთო. დერვიშების უფროსმა ამ ამბის მომტანი მათრახით აცემინა.

**ბელგრადი.** სტამბულოვი უარ ჰყოფს იმ ხმას, ვითომ ბოლგარიას განზრახვა აქვს უფრო აშკარად ეცადოს დამოუკიდებლობის დამკვიდრებასაო.

5 მკათათვე

**პარიჟი.** სტამბოლიდგან იუწყებიან, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა, სანამ პერაში წავიდოდა, სულთანს დაავალა ბერლინში მოსვლა და სულთანმა უარ-ჰყო ეს წინადადებაო. ამბობენ, ვითომ ვილჰელმი ასე იმიტომ მოიქცა, რომ თავიდგან აეცილებინა სტამბოლში წასვლაო.

პეტერბურგის ბირჟა, 4 მკათათვე.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 82 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 156 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 262½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 243½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მკათათვიდამ 16 მკათათვემდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ „ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3½ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 „ |
| მე-3 — . . . | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი . . . . . | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 „ |
| ღორის ხორცი . . . | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

# განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის განცხადება

1) მომავალის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის პანსიონში დანიშნულია ოთხი ვაკანსია ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ვისაც კენჭი ერგება ამ ვაკანსიებისა და წლოვანების შესაფერ ეგზამენსაც დაიჭერს მოსამზადებელის კლასის განყოფილებებში შემოსასვლელს, იგი მიღებულ იქმნება საზოგადოების სრულს ხარჯზე. კენჭი ჩამოეტარება მხოლოდ იმ თავად-აზნაურთა შვილებს, რომელნიც ბანკის დამფუძნებლებად ირიცხებიან. ხსენებული ოთხი ვაკანსია სკოლის კომიტეტის მიერ განაწილებულია მაზრებს შორის ამ რიგად: თელავის მაზრისათვის არის დანიშნული ერთი ვაკანსია, სიღნაღის მაზრისათვის—ერთი, ერთია ტფილისისა და დუშეთის მაზრებისათვის და ერთიც გორის მაზრისათვის. ამას გარდა დაწესებულია, თანახმად საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა, ყოფილის თავმჯდომარის გენერალ-ლეიტენანტის კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის მამაცაშვილის სახელზე ორი ვაკანსია, რომელზედაც მიღებულ იქმნებიან ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილები.

2) საზოგადოების ნახევარს ხარჯზე მიღებულ იქმნება ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრის ღარიბ თავად-აზნაურთაგან ცხრა ყმაწვილი, რომელნიც ვალდებულნი იქმნებიან შემოიტანონ წელიწადში ათ-ათი თუმანი—ხუთი შემოსვლისათანავე და ხუთი იანვარში.

3) პანსიონერები მიიღებიან საკუთარს ხარჯზედაც და ამათ უნდა შემოიტანონ წელიწადში ოც-ოცი თუმანი—ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

4) საზოგადოდ სკოლაში შემომსვლელთათვის იქნება ოთხმოც-დარვა (88) ვაკანსია: პირველს განყოფილებაში—ოც-და-თვრამეტი (38) შვიდისა და რვა წლის ყმაწვილებისათვის, მეორე განყოფილებაში — თხუთმეტი (15) 8 და 9 წ. ყმაწ; მესამეში—ცხრა (9) 9 და 10 წლის ყმაწვილ. და მეოთხე განყოფილებაში—ექვსი (6) ვაკანსია 10 და 11 წლის ყმაწვილებისათვის; პროგიმნაზიის პირველ კლასში - ათი (10) 11 და 12 წლის ყმაწვ. და მეორე კლასშიაც—ათი (10) 12 და 13 წლის ყმაწვილებისათვის.

5) გარედგან მოსიარულეთ შემოაქვსთ სწავლის ფასი წელიწადში თორმეტი მანეთი იმავე წესით, როგორც პანსიონერები იხდიან ხარჯის ფულს, ე. ი. ნახევარი ენკენისთვეში უნდა შემოიტანონ და ნახევარი იანვარში.

6) არც პანსიონში და არც გარეთგან მოსიარულედ ყმაწვილები მიღებულნი არ იქმნებიან, თუ მომზადებულნი არ აღმოჩნდნენ თანახმად სკოლის პროგრამისა.

7) როგორც პანსიონში შემომსვლელმა, ისე გარედგან მოსიარულემაც, თუ მისი მშობლები მუდამ ტფილისში არა სცხოვრობენ, თავდებად უნდა მოიყვანოს ტფილისის მცხოვრებთაგანი ვინმე, რომელსაც ხელწერილი ჩამოერთმევა, რომ იგი ჰკისრულობს ყმაწვილის მშობლების მაგიერობას, სანამ ყმაწვილს მშობლები არა ჰყავს ქალაქში, და საჭიროების დროს გამოცხადდება კიდეც სკოლის უფროსთან, რომ ყოველი მოთხოვნილება სკოლის შესახებ ყმაწვილისა დაუყოვნებლივ აასრულოს.

8) ვისაც სურს ყმაწვილის მობარება სკოლაში, თხოვნა უნდა შემოიტანოს მარიამობისთვის თხუთმეტ რიცხვიდგან ოც-და-ხუთამდის ტფილისს ინსპექტორის სახელზე და თხოვნასთან ერთად დოკუმენტებიც უნდა წარმოადგინოს. ვისაც პანსიონში უნდა შემოსვლა საზოგადოების სრულს, ან ნახევარს ხარჯზე, იმას მოეთხოვება: ა) წლოვანების მოწმობა, ბ) მოწმობა თავად-აზნაურობისა, გ) სიღარიბის მოწმობა და დ) ყვავილის აცრისა. ვინც საკუთარს ხარჯზე შემოდის პანსიონში, ან გარედგან მოსიარულედ, იმისათვის სავალდებულოა წლოვანების მოწმობა და მოწმობა ყვავილის აცრისა.

9) მარიამობის თთვის ოც-და ხუთიდგან დაიწყება მისაღები ეგზამენები სწავლა დაიწყება სკოლაში პირველს ენკენისთვეს.

10) ვისაც წარსულს წელში ჰქონდა თხოვნა შემოტანილი და ვაკანსია არა ჰრგებია, იმან ხელ-ახალი თხოვნა უნდა შემოიტანოს წელს და თუ მაშინ არ წარმოუდგენია ყველა ზემოხსენებული დოკუმენტები, ახლა უნდა წარმოადგინოს. (3—3)


წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. . . . . . | 1 | 50 |

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ხეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილის ქუჩა, ბექხანოვის სახლი, № 103.

(10—4)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—4)

# ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ



СЕРЕБРЯНАЯ

А. А.



ЗОЛОТАЯ

# ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—43) ა. თუთაევი

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

## ცხოვრება ღირსისა მამისა ევვიპტელისა

(თვით ღირსის მარიამის სურათითურთ)

ფასი ორი შაური.

ვინც ბევრს ერთად დაიბარებს ამ წიგნს „ქართულ საღმრთო წიგნთ-საკითხავიდგან“, იმას გზის ხარჯი არ გამოერთმევა. „ქართული საღმრთო წიგნთ-საკითხავი“ იმყოფება: ბაზრის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლში, № 11, სადგომი № 14. ამ „წიგნთ-საკითხავში“ ყოველ გვარ საღმრთო წიგნების კითხვა შეიძლება უფასოდ ყოველ დღე, ნაშუადღევის 4 საათიდგან 9-მდე. ვინც რომელისამე წიგნის სხვაგან წაღებას მოისურვებს, გირაოდ უნდა დასტოვოს წიგნის ფასი.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში




შედგენილი

მიხეილ ზაალის ძის ყიფიანისაგან.

ფასი 40 კაპ.


Доз. ценз. Тифлисъ 6-го Іюля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე